ვინ იხდის საშემოსავლო გადასახადს?

- თუ ხართ ფიზიკური პირი და საქართველოში იღებთ დასაბეგრ შემოსავალს, ვალდებული ხართ გადაიხადოთ საშემოსავლო გადასახადი.

რა არის დასაბეგრი შემოსავალი?

- დასაბეგრი შემოსავალი არის საქართველოში მიღებული ერთობლივი შემოსავლისა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის სხვაობა.

რამდენია საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი?

- საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე შეადგენს 20%-ს.

რა ვადაში უნდა მოხდეს საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენა და გადასახადის გადახდა?

დეკლარაციის სტატუსი	დეკლარაციის წარდგენის ვადა	გადასახადის გადახდის ვადა
წლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია	მომდევნო წლის 1 აპრილამდე	მომდევნო წლის 1 აპრილამდე
წლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია	საქმიანობის შეწყვეტისას 30 სამუშაო დღის ვადაში	საქმიანობის შეწყვეტისას 30 სამუშაო დღის ვადაში
* გადასახადის წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლის დეკლარაცია	ყოველი საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.	თანხის გადახდისთანავე

* დეკლარაციას წარადგენს მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას ან/და ყიდულობს მომსახურებას გადამხდელად არარეგისტრირებული ფიზიკური პირისაგან და უკავებს გადასახადს შემდეგი განაკვეთით: ხელფასი 20%, როიალტი 20%, პროცენტის სახით განაცემი 5%.

არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი იბეგრება პროცენტის სახით განაცემი 5%; სხვა თანხები 10%.

საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენა შეგიძლიათ ელექტრონულად, სახლიდან ან ოფისიდან გასუვლელად, ვებ-გვერდ www.rs.ge -ის საშუალებით, რაც მეტერიალურად აისახება თქვენს პირად ბარათზე.

როგორ იხდის მეწარმე ფიზიკური პირი საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე გადასახდელებს?

მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია, საშემოსავლო გადასახადი გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელების სახით შემდეგი თანამიმდევრობითა და ოდენობით:
ა) არა უგვიანეს 15 მაისისა – 25%;
ბ) არა უგვიანეს 15 ივლისისა – 25%;
გ) არა უგვიანეს 15 სექტემბრისა – 25%;
დ) არა უგვიანეს 15 დეკემბრისა – 25%.

შენიშვნა: მეწარმე ფიზიკურ პირს უფლება აქვს, მიმართოს საგადასახადო ორგანოს მიმდინარე გადასახდელების შემცირების თაობაზე, თუ მას მიმდინარე წელს დასაბეგრი შემოსავალი გასული წლის დასაბეგრ შემოსავალთან შედარებით არანაკლებ 50%-ით უმცირდება.

რა შემთხვევაში თავისუფლდება ფიზიკური პირი საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან?

საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან სრულად თავისუფლდებით, თუ მიიღეთ:

- ნამეტი შემოსავალი 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის, აქტივების (რომლებსაც არ იყენებთ ეკონომიკურ საქმიანობაში), 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით, ასევე I რიგის მემკვიდრის და მამკვიდრებლის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით;

- საგადასახადო წლის განმავლობაში ჩუქებით ან მემკვიდრეობით ქონება და ხართ ამ პირისთვის I ან II რიგის მემკვიდრე, ასევე - ჩუქებით ან მემკვიდრეობით 150 000 ლარამდე ღირებულების ქონება და ხართ ამ პირისათვის III ან IV რიგის მემკვიდრე;

- საგადასახადო წლის განმავლობაში ჩუქებით 1000 ლარამდე ქონება;
- საქართველოს ფარგლების გარეთ შემოსავალი (მათ შორის, სარგებელი);
- ლატარიიდან მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს;
- ალიმენტი;
- სხვა შემოსავალი.

საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან კალენდარული წლის განმავლობაში 3000 ლარამდე მიღებულ შემოსავალზე:

- ბავშვობიდან ან/და მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეები;
- პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ „ქართლის დედის“ საპატიო წოდება;
- მარტოხელა დედები;
- პირები, რომლებმაც იშვილეს ბავშვი – შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში;
- პირები, რომლებმაც აღსაზრდელად (შვილობილად) აიყვანეს ბავშვი;
- მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირები;
- სხვა პირები.

შენიშვნა: ფიზიკურ პირებს, რომელთა შემოსავალი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან, არ წარმოეშობათ საგადასახადო ორგანოში გადამხდელად რეგისტრაციისა და დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის info@rs.ge-ის საშუალებით გამოაგზავნოთ თქვენი შეკითხვები ან მიმართოთ შემოსავლების სამსახურის ნებისმიერ სერვისცენტრს და უმოკლეს ვადაში მიიღოთ პასუხი ნებისმიერ კითხვაზე.